

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს  
ბატონ შალვა პაპუაშვილის

საქართველოს მოქალაქის ავთანდილ კახნიაშვილის  
(3/6 [REDACTED])

მცხოვრები: [REDACTED]  
ელმისამართი: [REDACTED]  
ტელეფონი: [REDACTED]

### საკანონმდებლო წინადადება

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-13<sup>1</sup> მუხლის მეორე ნაწილის ცვლილების გზით სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის ფოტო-კინო-ვიდეოგადაღების აკრძალვის თაობაზე

კონსტიტუციის თანახმად, საქართველო ევროინტეგრაციაზე ორიენტირებული სამართლებრივი სახელმწიფოა, რაც კანონის უზენაესობისა და ხელისუფლებათა დანაწილების პრინციპების პრიორიტეტულად აღიარებასთან ერთად, ადამიანის ფუნდამენტური უფლებების ეფექტურად დაცვასაც გვავალდებულებს. ამისთვის კი, აუცილებელია, ერთმნიშვნელოვნად განისაზღვროს ზოგადსაკაცობრიოდ აღიარებული თუნდაც ისეთი დემოკრატიული ფასეულობების არსი, როგორებიც არის მაგ., თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, უდანაშაულობის პრეზუმფცია და სამართლიანი სასამართლოს უფლება, რაშიც უდაოდ დიდად გვეხმარება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები.

მხედველობიდან არც ის გარემოება უნდა გამოგვრჩეს, რომ ცალკეული დემოკრატიული სახელმწიფოებისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემაა უზრუნველყონ გონივრული ბალანსი თავისუფლებასა და წესრიგს შორის, სწორედ ადამიანის ძირითად უფლებათა გამოყენების სამართლებრივი ფარგლების დადგენისას, რათა რომელიმე ერთი ინსტიტუტის გონივრულად შეუზღუდაობამ, თუნდაც უნებლიეთ არ მიაყენოს მეორეს გამოუსწორებელი ზიანი. მაგ., სიტყვის თავისუფლება უმნიშვნელოვანესი დემოკრატიული მონაპოვარია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ პლურალისტურ საზოგადოებაში, ფაქტობრივად, ყოველგვარი ცენზურის გარეშე მოქმედი მასობრივი საინფორმაციო საშუალებების სურვილი, გააშუქონ მათი მფლობელებისთვის ან/და საზოგადოებისთვის საინტერესო ყველა მოვლენა, არცთუ იშვიათად, არა მარტო „საჯარო ხელისუფლებას“, არამედ ცალკეულ კანონმდორჩილ მოქალაქეებსაც უქმნის არსებით პრობლემებს. სადღეისოდ, ევროკავშირის ფარგლებშიც კი, რომელში ინტეგრაციასაც პრიორიტეტულად მივიჩნევთ, ფაქტობრივად, აღარავინ დავობს, თუ საქმე

საქართველოს პარლამენტის ბიუროს  
საქმისწარმოების დეპარტამენტი  
შემოს. № 1-1403/25  
06.03.2025წ. ფსრს. 22

დანაშაულში ბრალდებულ პირს ეხება, ინფორმაციის მიღების უფლებასაც და სიტყვის თავისუფლებასაც ესაჭიროება გონივრული ფარგლების განსაზღვრა, ვინაიდან უპასუხისმგებლო გამოყენებით, შეიძლება ფეხქვეშ გაითელოს ადამიანის (თუნდაც სავარაუდო დამნაშავის...) პატივი, ღირსება ან/და საქმიანი რეპუტაცია.

ზემოაღნიშნულმა პრობლემამ სრული სიმწვავეით იჩინა თავი საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომი სამართლებრივი რეფორმების (აშკარად, ბოლომდე გაუაზრებელის...) განხორციელების პროცესში, როდესაც განვიზრახეთ რა ე. წ. ევროსტანდარტებზე გადავსულიყავით და სისხლის სამართალწარმოების მაქსიმალური დემოკრატიზაციისა და „გაჭვირვალობისთვის“ მიგვეღწია, რიგ შემთხვევებში, არაერთი მცდელობის მიუხედავად, თავისუფლებასა და წესრიგს შორის გონივრული ბალანსის დაცვა (კაცობრიობის ე. წ. თავდაპირველი დილემა...), აშკარად, დღემდე ვერ უზრუნველყავით.

ამის მკაფიო მაგალითია სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვის პროცესის ფოტო-ვიდეო გადაღების და ტელეტრანსლირების საკითხი. ფაქტია, რომ 1997 წელს, პრინციპულად ახალი („რევოლუციური“) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღებისას, რომლის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვაც იყო დასახელებული, თითქოს შევეცადეთ, მეგობარი ქვეყნებიდან გადმოგვეღო ყოველივე პროგრესული, მაგრამ, რიგ შემთხვევებში, საზოგადოებისა და პოლიტიკოსთა დაბალი სამართლებრივი კულტურის, აგრეთვე, ნაუცბათეობისა და პროექტის ავტორთა უპასუხისმგებლობის გამო, გარკვეული შეცდომებიც (სამწუხაროდ, არსებითიც...) იქნა დაშვებული, რომლებიც დღემდე ქმნიან სერიოზულ პრობლემებს, რის დასტურიც მესამე პრეზიდენტის ბრალდების საქმეებთან დაკავშირებით გამართული სასამართლო სხდომებია, რომელზეც განსასჯელი, ფაქტობრივად, მხოლოდ იმიტომ ითხოვდა დასწრებას, რომ ტელეკამერების წინ პოლიტიკური განცხადებები გაეკეთებინა, ხელისუფლება ელანძღა და მაყურებელზე ზემოქმედება მოეხდინა, ხოლო „ეფექტური საჯარო გამოსვლის“ შემდეგ, რიგ შემთხვევებში საერთოდ უარს აცხადებდა მომდევნო სხდომებში მონაწილეობაზე, ვინაიდან პროკურორების მიერ წარდგენილი დასაბუთებული მტკიცებულებების საპასუხოდ, არაფერი ჰქონდა სათქმელი... ამასთან, ტელეკამერების წინ, ხან უკრაინულად აკეთებდა განცხადებებს, ხან ინგლისურად, ხოლო ერთხელ სანთლით ხელში დაიწყო ლოცვა... აშკარად მიუღებელი იყო მეორე ოპოზიციური გაერთიანების ლიდერის მიერ სასამართლო სხდომაზე განსასჯელის სტატუსით საჯაროდ გაკეთებული განცხადებებიც, რომლებითაც თურმე „კედელთან მიაყენა ბიზნესის ეთიკის არმცოდნე პროკურორები“ და მათ „ანაკლიის პროექტის მოკვლაც“ დააბრალა...

დარწმუნებული ვარ, სწორედ სისხლის სამართლის პროცესის „ღიაობა-საჯაროობა-საქვეყნოობის“ გონივრულ ფარგლებში შეუზღუდაობის ბრალია, რომ, ერთი მხრივ, განსასჯელის სკამზე აღმოჩენილი ზოგიერთი ბრალდებული (სავარაუდო დამნაშავე) ტელევიზიას (მით უმეტეს, მიკერძოებულს...), შეუძლია,

გამატყუნებელი განაჩენის გამოტანამდე წარუდგინოს დამნაშავედ საზოგადოებას და მორალურად გაანადგუროს, მეორე მხრივ, კი თავად განსასჯელს მისცეს შანსი, რომ მოსამართლის ნაცვლად, სასამართლო დარბაზიდან მხოლოდ „ქართველ ხალხს“ მიმართოს პირდაპირი ეთერით და, ან ბრალმდებელივით (პროკურორივით) ღიად (საქვეყნოდ, საჯაროდ) „ამხილოს“ მისთვის არასასურველი ხელისუფლება („პოლიტიკური გუნდი“, „სისტემა“, „კლანი“ თუ „ოლიგარქი“...) ან პრეზიდენტობის კანდიდატივით „ქვეყნის აღმშენებლობის მოკლევადიანი გეგმაც“ გააცნოს ტელემაცურებელს (ფაქტობრივად, ამომრჩეველს...).

მიმდინარე წელს გამართულმა სასამართლო პროცესების სერიამაც დაადასტურა, რომ სხდომებიდან ტელეტრანსლიაციების შედეგად, აშკარად ხდება სამართალდამცავი ორგანოების დისკრედიტაცია, ხოლო გუშინდელი სხდომის შემდეგ, რომელზეც, ფაქტობრივად, 11-ვე ბრალდებულმა, ფაქტობრივად, აზუჩად აიგდო მოსამართლევ და პროკურორებიც (ადვოკატებმაც მოითხოვეს მათი აცილება, რის გამოც მოსამართლემ სხდომა დახურა...), თავი ვალდებულად ჩავთვალე პარლამენტისთვის რეაგირებისთვის მომემართა. მით უმეტეს, რომ ქვეყანაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება არსებითად არის შეცვლილი.

სანამ, უშულოდ საკანონმდებლო წინადადების არსზე გადავიდოდე, უნდა აღვნიშნო, რომ სისხლის სამართლის პროცესის ძირითადი პრინციპები, როგორც კონტინენტური სამართლის სისტემისათვის საზოგადოდ მისაღები იდეები ფართოდ არის აღიარებული ევროპის განვითარებული ქვეყნების მიერაც და, შესაბამისად, განმტკიცებულია მათი კანონმდებლობით. თუმცა, რიგ სახელმწიფოებში ვხვდებით თავისებურებებსაც, არა მარტო სისხლის სამართალწარმოების ორიგინალური პრინციპების შემოტანის მხრივ, არამედ ზოგიერთი საყოველთაოდ აღიარებული პრინციპის ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით ინტერპრეტაციის კუთხითაც. ფაქტია ისიც, რომ გარკვეული ხარვეზები არა მარტო სოციალისტური (ავტორიტარული) სისტემიდან ნახევარი საუკუნის წინ თავდაღწეული სახელმწიფოების კანონმდებლობას გააჩნია, არამედ ევროპის ცენტრში მდებარე და სამართლებრივი კულტურით გამორჩეულ გერმანულსაც. ამის დასტურად, თუნდაც ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში განხილული საქმე (ექსენი გერმანიის წინააღმდეგ) იკმარებდა, რომელშიც სწორედ სისხლის სამართალწარმოების ღიაობა (საქვეყნოობა) იქცა განხილვის საგნად.

საგულისხმოა, რომ, როგორც ე. წ. ღიაობა-საქვეყნოობის, ასევე უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი მაგ., იმავე გერმანულ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში საერთოდ არ არის ასახული. სისხლის სამართლის სამართალწარმოების „საქვეყნოობის“ საკითხებს გერმანული სასამართლო წყობილების შესახებ საუკუნეზე მეტი ხნის წინ მიღებული კანონი არეგულირებს, რომლის მუდმივი დახვეწის მიუხედავად, ფოტო-კინო-ვიდეო გადაღება, ისევე როგორც რადიო-ტელე ტრანსლაციები სასამართლო სხდომათა დარბაზებიდან

დღემდე აკრძალულია და მხოლოდ მოსამართლის ნებართვის საფუძველზეა დაშვებული, ისიც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში.

ამდენად, ერთი მხრივ მისასაღმებელია, რომ ჯერ 1997 წლის 25 ნოემბერს, შემდეგ კი 1998 წლის 20 თებერვალს, ფაქტობრივად, „მეოთხე მოსმენით“ მიღებულ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში „საქვეყნობაც“ და „უდანაშაულობის პრეზუმფციაც“ ცალ-ცალკე პრინციპად იყო მოცემული, მაგრამ ამავე დროს, ისიც ფაქტია, რომ ქართველმა კანონმდებელმა, ევროპელებთან შედარებით, „კრიმინალური პროცედურის“ საქვეყნობის ფარგლები არაგონივრულად გააფართოვა და ტელევიზიის სხდომათა დარბაზში დაშვებით, ფაქტობრივად, დაარღვია ადამიანის ე. წ. ფუნდამენტურ უფლებებს შორის გონივრული ბალანსი და ბრალდებულთა (აგრეთვე, პროცესის სხვა მონაწილეთა...) პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფის შესაძლებლობა დაუშვა. შედეგად, გარდა იმისა, რომ ტელევიზორზე არაერთგზის გვინახავს საზოგადოებისგან იზოლირებული უდანაშაულო ადამიანი განსასჯელის სკამზე, სასამართლოს სხდომების საფუძველზე მომზადებულ სიუჟეტებში მოწმეების, პროკურორების და მოსამართლეების მიმართაც მოგვისმენია შეურაცხმყოფელი (უხამსი, უხენზურო) გამონათქვამები, რომლებიც ადეკვატური სამართლებრივი რეაგირების გარეშე დარჩენილა, რაც თავად მართლმსაჯულებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის განმახორციელებელ ორგანოებსაც ულახავს ავტორიტეტს.

სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას ფოტო-ვიდეო კამერებისა და ტელევიზიის სასამართლო პროცესებზე დაშვებით საქართველოს პარლამენტმა, ვფიქრობ, გაუმართლებელი ნაბიჯი გადადგა და სიტყვის თავისუფლებას უპირატესობა უდანაშაულობის პრეზუმფციის აშკარა დაკნინების ხარჯზე მიანიჭა. ამ შემთხვევაშიც, ვგონებ, ისევ „თვით რომის პაპზე მეტი კათოლიკენი“ აღმოვჩნდით და უშუალოდ სასამართლო სხდომის დარბაზიდან ტელეტრანსლაციები იმ დროს დავიწყეთ, როდესაც, რომ აღარაფერი ვთქვათ ჩვენი სასამართლოების დამოუკიდებლობის ხარისხზე, თანამედროვე დემოკრატიის სამშობლოში - ამერიკის შეერთებულ შტატებშიც (ინგლისშიც, გერმანიასა და საფრანგეთშიც...), ამისაგან თავს იკავებდნენ და არცთუ უსაფუძვლოდ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებული აზრი იქაც არსებობს და ამ საკითხზე დისკუსია დღემდე მიმდინარეობს. მაგ., ამერიკის იურისტთა ასოციაციის (ABA) ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში, ქალბატონი ბარბარა სვენი, რომელიც საადვოკატო საქმიანობას სწორედ პრესის სამართალში ეწეოდა, გამართლებულად მიიჩნევდა ტელევიზიის დაშვებას სასამართლო სხდომათა დარბაზში და მხარს უჭერდა საქართველოს კანონმდებლობაში „ნოვაციის“ ასახვას (შეიძლება, ინიციატორიც კი იყო...). ამდენად, მართალია, ამ მეტად პრინციპულ საკითხზე აშშ-ის კონგრესშიც დღემდე ვერ მიაღწიეს ერთსულოვნებას და სასამართლო სხდომათა დარბაზებში განსასჯელების გადაღების საშუალებას არავის აძლევენ (საპოლიციო ქრონიკაში ბრალდებულის სახესაც კი მაღავენ...). სამაგიეროდ, საქართველოს პარლამენტმა,

უკვე ჩვეულებად ქცეულ ცაიტნოტურ რეჟიმში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღებისას (1997 წლის 25 ნოემბრის დამის 11 საათზე, კონსტიტუციით განსაზღვრულ ვადამდე მხოლოდ ერთი საათით ადრე მიიღეს... არადა, არსებითი ხარვეზების გამო, დილის 11 საათზე პროექტის განხილვა დღის წესრიგიდან მოხსნეს..), როგორც ჩანს, „სტრატეგიული პარტნიორის“ მიერ დასახმარებლად მოვლინებული ექსპერტის თვალსაზრისსაც გაუწია ანგარიში და ტელევიზია სასამართლო სხდომათა დარბაზში დაუშვა...

მიუხედავად პატივისცემისა, ქალბატონ ბარბარასა და კანონპროექტის ავტორთა პოზიციას ზემოაღნიშნულ საკითხზე თავიდანვე არ ვეთანხმები (რაც მათ პირადადაც განვუცხადე, აგრეთვე ჩემი არგუმენტები რამდენიმე სამეცნიერო სტატიასა და საგაზეთო პუბლიკაციაში ავსახე). დღესაც დაუშვებლად მიმაჩნია ადამიანის დამნაშავეობის დადგენის პროცედურის სამოქალაქო ან ადმინისტრაციული საქმეების განხილვის მსგავს რეჟიმში მოქცევა, ვინაიდან სისხლის სამართლის პროცესი მეტად სპეციფიკურ ურთიერთობებს არეგულირებს, რომელშიც სახელმწიფოს მხრიდან სისხლის სამართლებრივად დევნილ ადამიანთა უფლებებს უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი იცავს, რის გამოც სრულიად დაუშვებელია კონკრეტული ადამიანის (თუნდაც სავარაუდო დამნაშავეს) ღირსება, თუნდაც „საზოგადოების მაღალ ინტერესს“ შეეწიროს... მით უმეტეს, თუ ეს ეს არაქონებრივი უფლება“ (ადამიანის ღირსება!) კონსტიტუციის მე-9 მუხლით არის დაცული და „ხელშეუვალი“...

ამასთან, ფაქტია, რომ დამოუკიდებლობის აღდგენიდან განვლილი პერიოდის განმავლობაში საქართველოს საკანონმდებელი ორგანო ბოლომდე ვერ გარკვეული, არა თუ სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვის პროცედურის „სრული გამჭვირვალობით“ გამოწვეული პრობლემების არსში, არამედ თვით ტერმინების: „საქვეყნობა“, „ღიაობა“ და „საჯაროობის“ შინაარსის მიმართებითაც, რის გამოც შესაბამის ნორმებში გაუთავებლად შეტანილი ცვლილება-დამატებების მიუხედავად, დღეს არსებული რეგულაციებიც ვერ მიიჩნევა გონივრულად და „განჭვრეტადად“.

საკანონმდებლო წინადადების დასაბუთებისთვის აუცილებელი სამართლის ნორმების გრამატიკული, შედარებითი, ისტორიული და სისტემური ანალიზისთვის, პირველ რიგში, 1997 წელს მიღებული „რევოლუციური“ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უნდა გავიხსენო, რომელშიც „საქვეყნობის“ მუხლი თავდაპირველად შემდეგი სახით იყო მოცემული:

#### მუხლი 16. სისხლის სამართლის პროცესის საქვეყნობა

1. სისხლის სამართლის საქმის განხილვა ყველა სასამართლოში ღიაა.
2. სამართალწარმოების მონაწილეებსა და სხვა პირებს აქვთ პროცესის დროს სტენოგრაფირების, ხმის ჩაწერისა და სხვა ჩამწერი საშუალებების უზმაუროდ გამოყენების უფლება, თუ ისინი ხელს არ უშლიან სასამართლო განხილვას. პროცესის ფოტო, კინო, ვიდეოგადაღება და აუდიოჩაწერა, აგრეთვე რადიოთი და

ტელევიზიით ტრანსლაციის აკრძალვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს მოტივირებული გადაწყვეტილებით.

3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შეუძლიათ თავისუფლად გააშუქონ სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და შედეგები, ოღონდ ამ დროს მათ უნდა იხელმძღვანელონ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპით.
4. საქმის განხილვისას სასამართლოს (მოსამართლის) განჩინებით (დადგენილებით) შეიძლება ჩატარდეს მთლიანად ან ნაწილობრივ დახურული სასამართლო სხდომა: სახელმწიფო, სამსახურებრივი ან კომერციული საიდუმლოების დაცვის მიზნით; პირადი მიმოწერის და სატელეგრაფო შეტყობინების სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნებისას, თუ ამის თანახმა არ არის პირი; ბრალდებულის სამართალში მიცემისას. მთლიანად ან ნაწილობრივ დახურულ სასამართლო სხდომაზე მხარის მოთხოვნით განიხილება, აგრეთვე იმ პირის დანაშაულის საქმე, რომელსაც 16 წლის ასაკამდე არ მიუღწევია; სქესობრივი დანაშაულის და სხვა კატეგორიის საქმე, რათა არ გახმაურდეს ცნობები საქმეში მონაწილე პირის ინტიმური ცხოვრების შესახებ; როდესაც ამას მოითხოვს პროცესის მონაწილის და მისი ოჯახის წევრების ან ახლო ნათესავების პირადი უსაფრთხოების დაცვა.
5. დახურულ სხდომაზე განიხილება აგრეთვე საგამოძიებო ორგანოების წარდგინება (შუამდგომლობა) სასამართლო ბრძანებისა და დადგენილების გამოთხოვის შესახებ.
6. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა წარმოებს ყველა საპროცესო წესის დაცვით.
7. სასამართლო განაჩენი, განჩინება, დადგენილება ყველა შემთხვევაში საქვეყნოდ ცხადდება.
8. მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების მასალების გახმაურების საკითხს წყვეტს გამომძიებელი ან პროკურორი უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის დაცვით.
9. 16 წელს მიუღწეველი პირი სასამართლო სხდომის დარბაზში არ დაიშვება.
10. შეიარაღებული პირი სასამართლო სხდომის დარბაზში დაიშვება მხოლოდ სასამართლოს სხდომის თავმჯდომარის ნებართვით.

ზემომოყვანილ „სისხლის სამართლის პროცესის „საქვეყნოობასთან“ დაკავშირებით, პირველ რიგში, ტერმინოლოგიურ პრობლემაზე უნდა შევჩერდე. სამწუხაროდ, ქართველ სამართალმცოდნეთა შორის დღემდე არ არის მიღწეული თანხმობა. შედეგად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, ერთი მხრივ, ლაპარაკი იყო „საქვეყნოობაზე“, ამასთან აღნიშნული პრინციპის ამსახველი მუხლის პირველ ნაწილში ნათქვამი იყო, რომ სისხლის სამართლის საქმის განხილვა ყველა სასამართლოში „ღიაა“, რაც შეესაბამებოდა საქართველოს კონსტიტუციას („სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე“). ამასთან, სსსკ-ის 477-ე მუხლი დასათაურებული იყო, როგორც „მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების დროს ბრალდებულის მიერ მიცემული ჩვენების საჯაროდ წაკითხვა“ და მასში „საჯაროდ წაკითხვა“ და „საჯაროდ მოსმენა“ იყო ნახსენები, ხოლო 2004 წლის 13 თებერვალს ე. წ. საპროცესო შეთანხმების შემოღებასთან დაკავშირებით საპროცესო კოდექსის

679-ე მუხლისთვის დამატებულ დებულებაში სასამართლოს „საჯარო სხდომა“ იყო ნახსენები, ანუ კანონმდებელი, ფაქტობრივად ერთი და იმავე ინსტიტუტის აღსანიშნავად სამ ტერმინს იყენებდა: „ლიაობას“ „საქვეყნობას“ და „საჯაროობას“ (ამასთან, „საჯაროობა“ საჯარო ინტერესების ანუ ე.წ. ოფიციალურობის აღსანიშნავადაც გამოიყენებოდა და სსსკ მე-14 მუხლში „საჯაროობა და დისპოზიციურობა“, დამოუკიდებელ პრინციპად იყო მოცემული).

ტერმინთან მიმართებით აზრთა სხვადასხვაობაა სამართლის დარგის აღიარებულ სპეციალისტთა შორისაც: მაგ., ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თარგმანში სამართლის დოქტორის, თსუ-ის პროფესორის კონსტანტინე კორკელიას მიერ „საჯარო მოსმენაზე“, „საჯარო განხილვაზე“ და „საჯაროდ გამოცხადებაზე“ ლაპარაკი (იხ. კონსტანტინე კორკელია, ირინე ქურდაძე, „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით“, თბილისი, 2004, გვ. 155, 164-165), ასევე „საჯაროობა“ არის გამოყენებული რეფორმირებული სასამართლოებისათვის 3000 ცალი ტირაჟით გამოცემულ კრებულში, რომლის პასუხისმგებელი რედაქტორია, სამართლის დოქტორი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წევრი, ლადო ჭანტურია (იხ. საქართველოს კანონები, ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო აქტები და კონვენციები, თბილისი, 1998). სამართლის დოქტორი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ყოფილი წევრი, საპატრიარქოს უნივერსიტეტის პროფესორი მინდია უგრეხელიძე კი, ამავე მუხლის თარგმანში „საქვეყნოდ განხილვის“ და „საქვეყნოდ გამოცხადების“ გამოყენებას ამჯობინებს (იხ. ევა გოცირიძე, მინდია უგრეხელიძე, თეა წულუკიანი, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, თბილისი 2004, გვ.18), ხოლო სამართლის დოქტორის, თსუ-ის პროფესორის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის, ავთანდილ დემეტრაშვილის პასუხისმგებლობით გამოცემულ ტექსტში, რომელიც ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა დირექტორატმა დააფინანსა (მთარგმნელი ლევან ბოძაშვილი) მე-6 მუხლში „ლია მოსმენაც“ გვხვდება და „საჯაროდ გამოცხადებაც“ (იხ. ევროპის საბჭო და ადამიანის უფლებების დაცვა, თბილისი, 1998 წ. გვ. 46).

ამდენად, თუ გავითვალისწინებთ, რომ ტერმინების შემოღებაც და მათი შინაარსის დადგენაც იურისტების საქმეა, გონივრული იქნებოდა, რომ კანონპროექტის ავტორებს „რევოლუციური სამართლებრივი რეფორმის“ განხორციელების პროცესში თუ არა (სახელმწიფო კომისიები 1995 წელს შეიქმნა, ხოლო ძირითადი კოდექსები 1997 წელს იქნა მიღებული), სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, უკვე მოგვიანებით, ცვლილება-დამატებების შეტანისას მაინც შეეჯერებინათ პოზიციები. ცხადია, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს საბოლოო ჯამში „ლიაობაზე“ შეჩერდებოდნენ, თუ „საქვეყნობაზე“, მაგრამ აუცილებელი იყო. რომ კანონმდებლობასა და სპეციალურ ლიტერატურაში (პირველ რიგში, კოდექსის

კომენტარებში...) ერთი და იგივე ტერმინი ყოფილიყო გამოყენებული და მისი შინაარსი დაკონკრეტებულიყო (მეც, ტერმინ „საქვეყნობას“ ვანიჭებდი უპირატესობას, რომელიც საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის დასათაურებაში გამოიყენებოდა, ხოლო „საჯაროობა“ უმჯობესი იქნებოდა საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლში მოცემული შინაარსით გამოგვეყენებინა).

სამწუხაროდ ასე არ მოხდა. 1997 წელს მიღებულმა და 1999 წელს ამოქმედებულმა „რევოლუციურმა“ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა, რომელმაც სასამართლო სხდომები სრულიად „გამჭვირვალე“ გახადა, სულ 10 წელი იარსება (როგორც მახსოვს, კოდექსში მთლიანობაში 3 000-მდე ცვლილება-დამატება შევიდა, მათ შორის 1000-მდე, მის ამოქმედებამდე...). ხოლო 2009 წელს „ნაციონალურმა“ პარლამენტმა პროკურატურის ინტერესებზე აშკარად კიდევ უფრო მორგებული სრულიად ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მიიღო (ისე, რომ არც მეცნიერებს ჰკითხეს რამე და არც ადვოკატებს...), რომლის ავტორებმა „საქვეყნობის“ ნაცვლად, რატომღაც, ტერმინ „საჯაროობის“ გამოყენება ამჯობინეს, მაგრამ, რაც ყველაზე გაუგებარია (უაღრესად არაგონივრულიც...), როდესაც ერთი უკიდურესობა მეორეთი ჩაანაცვლეს და. ამჯერად, ფოტო-ვიდეო გადაღება „სასამართლოში“ იმ დონეზე აკრძალეს, რომ ამ ტერმინში „სასამართლო სხდომის დარბაზთან“ ერთად, „სასამართლოს შენობაც“ და „სასამართლოს ეზოც“ კი მოიზრეს (სავარაუდოდ „ნაციონალურ ინტერესებში“, ვინაიდან „ნულოვანი ტოლერანტობის“ შედეგად სასამართლოებს განხილული სისხლის სამართლის საქმეების 99 %-ის მიმართ გამატყუნებელი განაჩენები გამოჰქონდათ...) და შესაბამისი მუხლი შემდეგი სახით ჩამოაყალიბეს:

მუხლი 10. სასამართლო სხდომის საჯაროობა და ზეპირობა

1. სასამართლო სხდომა, როგორც წესი, ტარდება საჯაროდ და ზეპირად. სხდომის დახურვა დასაშვებია მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
2. სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება ცხადდება საჯაროდ.
3. სასამართლოში, ასევე სასამართლო სხდომის დარბაზში სისხლის სამართლის საქმის განხილვის ფოტო, კინო და ვიდეოგადაღება და ტრანსლირება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამას ახორციელებს სასამართლო ან სასამართლოს მიერ უფლებამოსილი პირი. სასამართლო უფლებამოსილია გაავრცელოს მის ხელთ არსებული სასამართლო პროცესის ფოტო, კინო და ვიდეოგადაღების მასალები, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონს. დასაშვებია სასამართლო სხდომის სტენოგრაფირება და აუდიოჩაწერა სასამართლოს მიერ დადგენილი წესით. ეს უფლება შეიძლება შეიზღუდოს სასამართლოს გადაწყვეტილებით.

ამ საკანონმდებლო „ნოვაციის“ საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2012 წლის 19 ივნისის N32 ბრძანებით „სასამართლოს შენობაში (სასამართლოს ეზო, სასამართლოს შენობა) აიკრძალა ფოტო, კინო, ვიდეოაპარატურის, მობილური ტელეფონების და ჩაწერის ფუნქციის მქონე სხვა ტექნიკური საშუალებების შეტანა“ (დანართი 1). ამ ბრძანების

(ფაქტობრივად, „ხუმტურის“...) ტექსტი კი სასამართლოში მისულ ყველა „ვიზიტორს“ ურიგდებოდა, ხოლო სასამართლოს ეზოში განთავსდა ფოტო და ვიდეო გადაღების ამკრძალავი სპეციალური ნიშნები... (დანართი 2). შესაბამისად, მანდატურები შენობების შესასვლელებში მობილური ტელეფონების ჩამორთმევით დაკავდნენ და სასამართლოს ეზოში მყოფ მოქალაქეებს შენობის ფასადის გადაღებასაც კი ურძალავდნენ...

გარდა იმისა, რომ საპროცესო კოდექსებში ე. წ. გამონაკლისიანი („როგორც წესი...“) ნორმები სახელმწიფოს (სამართლდამცავი ორგანოების) ინტერესებში, არცთუ იშვიათად, გამოიყენება, სასამართლო სხდომების, ფაქტობრივად, დასახურად, როგორც ჩანს, 2012 წელს არჩევნებით მოსულმა ახალმა ხელისუფლებამ „ლიაობა–საქვეყნობა–საჯაროობის“ ფარგლების ისევ მაქსიმალურად გაფართოება განიზრახა, რისთვისაც 2013 წლის დასაწყისში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლიდან საერთოდ ამოიღო მე-3 ნაწილი და დაამატა ნორმა, რომლითაც „სასამართლოს შენობაში, ასევე სასამართლო სხდომის დარბაზში სისხლის სამართლის საქმის განხილვის ფოტო, კინო, ვიდეოგადაღება, სტენოგრაფირება და აუდიოჩაწერა ხორციელდება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით“, ხოლო აღნიშნული კანონის შესაბამისი ნორმა თავდაპირველად შემდეგი სახით იქნა ჩამოყალიბებული:

#### მუხლი 16. საქმის განხილვის საქვეყნობა

1. სასამართლოში ყველა საქმის განხილვა ღიაა.
2. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
3. სასამართლო გადაწყვეტილება ყველა შემთხვევაში ცხადდება საჯაროდ.
4. (ამოღებულია).
5. სასამართლოში, აგრეთვე სასამართლო სხდომის დარბაზში საქმის განხილვის ფოტო, კინო, ვიდეოგადაღება ხორციელდება ამ კანონით დადგენილი წესით.

მართალია, ზემოაღნიშნულმა მუხლმაც (რომელშიც „ლიაობაც“ არის ნახსენები, „საქვეყნობაც“ და „საჯაროობაც“...) განიცადა რამდენიმე ცვლილება–დამტება და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონითვე დადგენილმა „სასამართლოში, აგრეთვე სასამართლო სხდომის დარბაზში საქმის განხილვის ფოტო, კინო, ვიდეოგადაღების წესმაც“ (რომელიც მრავალ სადაო დებულებას დღემდე შეიცავს და რომლებზეც, გასაგები მიზეზების გამო, ამჯერად არ შევჩერდები...), რომელშიც ტერმინები „ლიაობა“, „საჯაროობა“ ან „საქვეყნობა“ საერთოდ არ არის ნახსენები, მაგრამ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს სასამართლო პროცესის ფოტოგადაღების, კინო და ვიდეოჩაწერის, ფაქტობრივად, შეუზღუდავად განხორციელების უფლებამოსილება მიენიჭა... მართალია, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ უკვე მერვედ არჩეულმა

პარლამენტმაც, როგორც ჩანს, „ასიამოვნა“ ადგილობრივ (და, შესაძლოა, ზოგიერთ უცხოელ...) ე. წ. არასამთავრობო „მედია-ექსპერტებსაც“, მაგრამ აშკარად ხელი შეუწყო სისხლის სამართწარმოებაში ადამიანის უფლებების (ზირითადად ე. წ. არაქონებრივის...) ხელყოფის ფაქტების ზრდას. აღნიშნულ წესი „საერთო სასამართლოების შესახებ“ შესახებ ორგანული კანონის დღევანდელ რედაქციის მე-13 პრიმა მუხლში შემდეგი სახით არის მოცემული:

**მუხლი 13<sup>1</sup>. სასამართლო სხდომის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაშუქება**

1. სასამართლო ვალდებულია უზრუნველყოს სასამართლო პროცესის აუდიო-, ვიდეოჩაწერა. სასამართლომ მოთხოვნისთანავე უნდა უზრუნველყოს აუდიო-, ვიდეოჩაწერის მხარეებისთვის ხელმისაწვდომობა. თუ სასამართლოს მიერ გამოტანილია განჩინება სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის თაობაზე, მხარეები ვალდებული არიან ხელი მოაწერონ ხელწერილს აუდიო-, ვიდეოჩაწერის გაუმჟღავნებლობაზე.

2. საზოგადოებრივი მაუწყებელი უფლებამოსილია შეუზღუდავად განხორციელოს სასამართლო პროცესის ფოტოგადაღება, კინო-, ვიდეო-, აუდიოჩაწერა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლოს მიერ გამოტანილია განჩინება სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის თაობაზე. საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია უზრუნველყოს ჩაწერის გადაცემა მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებისათვის მათი მოთხოვნისთანავე.

3. თუ საზოგადოებრივი მაუწყებელი არ სარგებლობს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილებით, ასეთი უფლებამოსილებით სარგებლობა შეუძლია სხვა საერთო საეთერო მაუწყებელს სასამართლო სხდომის დაწყების წინ საქმის განმხილველი მოსამართლისათვის წერილობითი განცხადების წარდგენის საფუძველზე. თუ ასეთი განცხადება წარდგენილია ერთზე მეტი საერთო საეთერო მაუწყებლის მიერ, მოსამართლე უფლებამოსილ პირს შეარჩევს წილისყრის საფუძველზე. პირს, რომელიც ახორციელებს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ უფლებამოსილებას, ეკისრება იმავე პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებაც.

4. სასამართლო სხდომის დარბაზში ფოტოგადაღება, კინო-, ვიდეოჩაწერა უნდა განხორციელდეს სასამართლოს მიერ წინასწარ გამოყოფილი ადგილიდან. სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფ ნებისმიერ პირს აქვს უფლება, სასამართლოს მიერ წინასწარ გამოყოფილი ადგილიდან განხორციელოს სასამართლო სხდომის აუდიოჩაწერა. აღნიშნული მოქმედებების განხორციელებისას დაუშვებელია სასამართლო სხდომის დარბაზში მოძრაობა, ხმაური, შუქის ან სხვა ისეთი ემისიების გამოყოფა, რომლებიც ხელს უშლის მართლმსაჯულების განხორციელების ნორმალურ პროცესს. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში მოსამართლეს (სასამართლოს) შეუძლია მიიღოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ზომები.

5. თუ სასამართლო სხდომაში ნაფიცი მსაჯულები მონაწილეობენ, სასამართლო სხდომის ფოტოგადაღება, კინო-, ვიდეო-, აუდიოჩაწერა უნდა განხორციელდეს ნაფიცი მსაჯულების გადაღების, მათი ვინაობის, გარეგნული ნიშნების ან/და სხვა პერსონალური მონაცემების გამხელის გარეშე.

6. თუ დაზარალებულის ან/და მოწმის უსაფრთხოების ინტერესები ამას მოითხოვს, მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია აკრძალოს

დაზარალებულის ან/და მოწმის გადაღება, მისი ვინაობის, გარეგნული ნიშნების ან/და სხვა პერსონალური მონაცემების გამხელა.

7. ნებადართულია სასამართლოს ეზოსა და შენობის დერეფანში ფოტოგადაღება, კინო-, ვიდეო-, აუდიოჩაწერა და ეთერში გადაცემა ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. დაუშვებელია სასამართლოს მიერ დადგენილი წესით სასამართლოს შენობაში შესული პირისათვის პირადი ნივთების, მათ შორის, მობილური ტელეფონის, კომპიუტერის, ფოტო-, კინო-, ვიდეო- ან/და აუდიოსაშუალებების ჩამორთმევა.

მისასაღმებელია, რომ კანონმდებელმა, ერთი მხრივ, „ღია სხდომაზე“ დასწრების მსურველ ადამიანებზეც იზრუნა და ზემომოყვანილი მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, სასამართლოს შენობაში შესვლისას მათ „პირად ნივთებს“ ვეღარ ჩამოართმევენ და „სასამართლოს ეზოსა და შენობი დერეფნებში“ გადაღებაც უკვე „ნებადართულია ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე“ (თუმცა, ამის აღნიშვნა სრულებითაც არ იყო საჭირო, მით უმეტეს, თუ სხდომის დარბაზში გადაღების წესებს უფრო მკაფიოდ და გონივრულად დავარეგულირებდით... მაგ., რატომ არ შეიძლება, სხდომაზე დამსწრე პირმა ერთი ფოტო, თანაც სპეციალური ფოტოგანათების გამოყენების გარეშე, საკუთარი ადგილიდანაც, თუნდაც უნებართვოდ გადაიღოს ან მობილური ტელეფონით, სრულიად უხმაუროდ განახორციელოს სხდომის, თუნდაც აუდიოჩაწერა...), მაგრამ, მეორე მხრივ, ფაქტია, რომ პარლამენტმა პროცესის მონაწილეების (პირველ რიგში, ბრალდებულის) კონსტიტუციური უფლებები უგულვებელყო (მაგ., უდანაშაულობის პრეზუმფცია და ღირსების ხელშეუვალობა...), რის აღმოსაფხვრელადაც, თავი ვალდებულია ჩავთვალო, რომ ზემოთ მოყვანილი მუხლის მე-2 ნაწილის ცვლილების საკანონმდებლო წინადადება მაინც შემომეთავაზებინა, რაც მას, ჩემი აზრით, ე. წ. ევროსტადარტებთანაც მოიყვანს შესაბამისობაში.

ცხადია, სისხლის სამართალწარმოების საქვეყნოობის (ღიაობის, საჯაროობის) ფარგლებზე მსჯელობისას ვერაფრით ავუვლით გვერდს უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს, ვინაიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ადრე მოქმედ რედაქციაში, გარდა იმისა, რომ აღნიშნულ პრინციპს ცალკე მუხლი ეთმობოდა, საქვეყნოობის პრინციპთან დაკავშირებულ ნორმებშიც ორჯერ იყო ნახსენები და პროცესის გაშუქებისას უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის განუხრელი დაცვა მასობრივი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლებთან ერთად, გამომძიებლებსა და პროკურორებსაც ევალებოდათ (2010 წლამდე მოქმედი საპროცესო კოდექსის მე-16-ე მუხლის მე-3 და მე-8 ნაწილები). ვინაიდან, დღეს მოქმედი საპროცესო კოდექსიც (მუხლი 5) აღიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითაც გარანტირებულ ამ უმნიშვნელოვანეს დემოკრატიულ ინსტიტუტს (უდანაშაულობის პრეზუმფციას), ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნული პრინციპის არსისა და მისგან გამომდინარე მოთხოვნების, პროცესის „ღიაობა-საქვეყნოობასთან“ მიმართებით, უფრო მკაფიო განმარტებას.

(ფაქტია, როგორც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის, ასევე კონსტიტუციის ახალ რედაქციებში უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი არსებითი ხარვეზებით არის ასახული, რაც ცალკე მსჯელობის თემაა, თუმცა, უნდა შევნიშნო, რომ აღნიშნული პრინციპის არასწორი გაგება განაპირობებს მასობრივ დარღვევებს, როგორც მედიასაშუალებების, ასევე ხელისუფლებისა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მხრიდან. ამ შემთხვევაში, უზუსტო სამართლებრივი ნორმებისათვის პასუხისმგებლობა, პირველ რიგში, საპროცესო კოდექსის ავტორებთან ერთად, იმ პოლიტიკოსებს უნდა დაეკისროთ, რომლებიც, რიგ შემთხვევებში, ქართველ მეცნიერთა თვალსაზრისის იგნორირებით ცდილობდნენ კანონშემოქმედებითი პროცესის წარმართვას. თუმცა, დარწმუნებული ვარ, ადგილობრივ სპეციალისტებს უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის არსის დადგენა-დაზუსტებასა და პრაქტიკაში სწორად გამოყენებაში მეგობარ ქვეყნებსაც კი შეუძლიათ გაუწიონ ქმედითი დახმარება).

სწორედ, ადამიანის უფლებების დაცვის პრიორიტეტულობიდან გამომდინარე (მით უმეტეს, ყველა ევროპელმა უფლებადამცავმა იცის, რომ ერთი უდანაშაულო ადამიანის დასჯას, ათასი დამნაშავის გარეთ დატოვება სჯობს...), სისხლის სამართალწარმოების „საქვეყნობა-საჯაროობის“ ფარგლების გონივრული განსაზღვრისთვის, ყველა შემთხვევაში, აუცილებელია უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის არსისა ან მისგან გამომდინარე ძირითადი მოთხოვნის სწორად გაცნობიერება, რაც საქართველოს კონსტიტუციის 31-ე და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლების საფუძველზეც არის შესაძლებელი, რომ განხორციელდეს და ყველასათვის (მათ შორის ჟურნალისტებისთვის) გასაგები რომ იყოს, მაგ., ამ სახით ჩამოყალიბდეს: ადამიანს (ექვმიტანილი, დაკავებული, პოლიციაში მიყვანილი თუ წარდგენილი, დაპატიმრებული ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირი, ბრალდებული, განსასჯელი) სახელმწიფო მანამდე თვლის უდანაშაულოდ (და შესაბამისად ეპყრობა, თუნდაც დუმილის უფლებას იყენებდეს), სანამ მის მიერ დანაშაულის ჩადენას სასამართლოში საქმის განხილვისას ღიად (საქვეყნოდ, საჯაროდ) და უტყუარი მტკიცებულებების გამოყენებით არ დაამტკიცებს ბრალმდებელი (პროკურორი) და არ დაადგენს დამოუკიდებელი სასამართლო კანონიერ ძალაში შესული (ამოქმედებული) გამამტყუნებელი განაჩენით.

ვინაიდან საკანონმდებლო წინადადების მიზანია პარლამენტის ყურადღება კანონმდებლობაში „გაპარულ ხარვეზებზე“ (არაგონივრული შინაარსით მოცემულ რიგ ნორმებზე) გავამახილო, რის გამოც ე. წ. საჯარო თუ საზოგადოებრივ ინტერესს წლების განმავლობაში ეწირება ადამიანის უფლებები, გამართლებულად მივიჩნიე, სისხლის სამართლის „ღიაობა-საქვეყნობა-საჯაროობის“ ფარგლების განსაზღვრასთან დაკავშირებული პრობლემა, ამჯერად მხოლოდ „საერთო სასამართლოების შესახებ“ შესახებ ორგანული კანონის დღევანდელ რედაქციის

მე-13 პრიმა მუხლის მე-2 ნაწილთან მიმართებით წარმომეჩინა და მისი ახალი რედაქცია შემომეთავაზებინა.

ფაქტია, როდესაც 2012 წელს ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ფორმირებულმა პარლამენტმა სასამართლო სხდომის დარბაზებში კვლავ დაუშვა ფოტო-ვიდეო და ტელეკამერები, ამ აშკარად პოპულისტური ქმედების ნეგატიური შედეგი მალევე ნათლად გამოჩნდა, თუნდაც შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრისა და თბილისის ყოფილი მერის ბრალდების საქმეების გაშუქებისას, როდესაც განსასჯელები პირდაპირ ეთერში აკეთებდნენ პოლიტიკურ განცხადებებს და შეურაცხყოფას აყენებდნენ ხელისუფლების სამივე შტოს წარმომადგენლებს, ხოლო, ოჯახის წევრების მკვლელობაში ბრალდებულ „მ. კ-ძის საქმე“ თვალსაჩინო მაგალითი გახდა იმისა, თუ რა ზომის მორალური ზიანი (თანაც გამოუსწორებელი...) შეიძლება მიადგეს რიგით მოქალაქეს სისხლის სამართლის საქმის განხილვის „ღიაობა-საქვეყნოობის“ გონივრულ ფარგლებში შეუზღუდაობით.

დღევანდელ პირობებში ტელე (ვიდეო, ფოტო) აპარატურის, ფაქტობრივად, შეუზღუდავი დაშვება სასამართლო სხდომათა დარბაზში (მით უმეტეს, თუ ჯერჯერობით არც დამოუკიდებლობის აღდგენიდან უკვე მეოთხე რეფორმის „მეოთხე ტალღაზე“ მყოფი ჩვენი სასამართლო საკმარისად დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი...), ფაქტობრივად, თითოეულს გვაძლევს საშუალებას, უკითხავად ჩავერიოთ ადამიანის პირად ცხოვრებაში, გავხდეთ მისი ტრაგედიის (ღირსების ღიად ხელყოფის) მაცურებლები და, რაც ყველაზე აღმაშფოთებელია, ადამიანი, რომელსაც კონსტიტუცია ერთმნიშვნელოვნად უდანაშაულოდ მიიჩნევს და სასამართლოს მიერ მისი გამართლებაც არ არის გამორიცხული, შეგვიძლია განსასჯელის სკამზე (ზოგჯერ, ფაქტობრივად, „გალიაშიც“...) ვიხილოთ, რაც ყოველი ნორმალური (შერაცხადი) ადამიანისათვის თავისთავად წარმოადგენს კანონით გაუთვალისწინებელი სასჯელის განსაკუთრებულ სახეობას... (ცხადია, ეს საქართველოში გასამართლებულ სხვა ქვეყნების მოქალაქეებსაც ეხებათ...).

გარდა ამისა, არც მეორე უკიდურესობაა გამორიცხული, როდესაც ტელეკამერებს სასამართლო პროცესზე სანახაობის („შოუს“) ელემენტები შეაქვთ და „ელიტური“ განსასჯელები (მათ შორის პოლიტიკური ლიდერები და თანამდებობის პირები...) შინაგანი რწმენის თანახმად კი აღარ იქცევიან, არამედ იმის გათვალისწინებით, თუ რას მოელიან მათგან მხარდამჭერები ან როგორი „იმიჯი“ აქვთ შექმნილი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. ამასთან, ზოგიერთმა განსასჯელმა სასამართლოსადმი ჭეშმარიტების დადგენაში ხელშეწყობისა და გულწრფელი მონანიების ნაცვლად, კიდევ რომ სურდეს ამის გაკეთება, ტელეკამერების წინ, შესაძლოა, ძირითადი აქცენტი პოლიტიკურ განცხადებებსა და მისთვის არასასურველი ხელისუფლებისა თუ ცალკეული პირების ლანძღვაზე გააკეთოს (სამწუხაროდ, „პირდაპირ ეთერის“ გამო, ამაში, შეიძლება, პოლიტიკური ამბიციების მქონე ადვოკატებმაც აუბან მხარი ...). არც ის არის გამორიცხული, რომ ტელეკამერების წინ, განსასჯელმა, რომელსაც ბრალდება უსაფუძვლოდ აქვს

წარდგენილი, შეიძლება, თავი შეიკავოს ზოგიერთ გარემოებებზე საუბრისაგან ან დუმილის უფლებაც კი გამოიყენოს, რომ თუნდაც „უბანში“ ან „სამმაკაცოში“ არ მოიხსენიონ ე. წ. ჩამშვებად... გარკვეული უხერხულობა ექმნებათ იმ ადამიანებსაც, რომლებიც სასამართლოში მოწმის სახით არიან გამოძახებულნი და მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულ საქმესთან შეიძლება მხოლოდ უნებურად იყვნენ დაკავშირებულნი, ტელევიზიით გადაცემულ სიუჟეტში, თუნდაც მოკლე დროით მათმა გამოჩენამ, სავსებით შესაძლებელია, საზოგადოებაში გარკვეული ეჭვები აღძრას და მათ სახელს რეპუტაციის შელახვის რეალური საფრთხე შეუქმნას (სამწუხაროდ, მე-13 პრიმა მუხლის მე-6 ნაწილი მოწმის მხოლოდ „უსაფრთხოების“ დაცვას ისახავს მიზნად...).

ამასთან, გამორიცხული არ არის, სხდომების მიმდინარეობიდან ფოტო-ვიდეომასალის „გამოქვეყნება-გასაჯაროობით“ არა მარტო განსასჯელებსა და მოწმეებს, არამედ თავად დანაშაულის შედეგად დაზარალებულ პირსაც და მის ოჯახსაც მიადგეს გამოუსწორებელი ზიანი. ამის მკაფიო მაგალითად, ჟურნალისტ გ. ს-ას მკვლელობის ფართოდ გახმაურებული საქმის სასამართლო სხდომებიდან წარმართული პირდაპირი ტელეტრანსლაციები გამოდგება, როდესაც პროცესზე მოწმეთა თუ განსასჯელის პირით გაჟღერებულმა პირადი ცხოვრების ამსახველმა ინფორმაციამ მორალური ზიანი მიაყენა არა მარტო დაღუპულის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს, არამედ შეურაცხყო თავად გარდაცვლილის სახელი და დამოუკიდებელ ჟურნალისტთა კორპუსსაც შეულახა რეპუტაცია, ხოლო სხდომაზე ერთი მეტად სპეციფიკური ხასიათის „პირადი ინფორმაციის“ გაჟღერების შემდეგ, განსასჯელმა იმ დონის სულიერი ტანჯვა განიცადა, რომ ლითონის გალიის გისოსებს დასაღწად ეცა...

მხედველობიდან ნურც ის ზოგიერთი მოსამართლე გამოგვრჩება, რომელიც კონკრეტული საქმის განხილვისას უფრო მეტად, შეიძლება, იმაზე წუხდეს, თუ რა რაკურსით უჩვენებენ საღამოს საინფორმაციო გადაცემებში და მის რომელ გამონათქვამს აირჩევენ გამოსაქვეყნებლად. გარდა იმისა, რომ ტელეკამერები სასამართლოს სხდომის დარბაზში ზედმეტ დამაბულობას ქმნიან, არც ის არის გამორიცხული, რომ მოსამართლე საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენაზე მეტად საკუთარი პერსონის წარმოჩენითაც იყოს დაინტერესებული და გადაწყვეტილების გამოტანისას მასმედიით საზოგადოებაში წინასწარვე შექმნილ აზრს (კონიუქტურას) უფრო გაუწიოს ანგარიში, ვიდრე შინაგან რწმენას.

ტელეკრანებზე გამოჩენისას პოლიტიკოსებს და მთავრობის წევრებს საქმიანობაში დაშვებული აშკარა ხარვეზების აღიარებაც კი უჭირთ, ჩვენ კი განსასჯელს, რომელმაც დაკავებისას, თუნდაც, მართლაც „გულწრფელად და ძალდაუტანებლად“ აღიარა ჩადენილი დანაშაული, საქვეყნოდ, ფაქტობრივად, მთელი მსოფლიოს თვალწინ ვთხოვთ ამის გაკეთებას, შემდგომ კი გვიკვირს, თუ რატომ არ აკეთებს ამას ტელეკამერების წინ, რატომ ირჩევს დუმილის უფლების

გამოყენებას სასამართლოში ან რატომ უარყოფს წინასწარი გამოძიებისას ნებყოფლობით მიცემულ ჩვენებებს.

არც ის არის გამორიცხული, რომ საზღვარგარეთელი მეთვალყურეების აღიარებით, ჯერ კიდევ ნაწილობრივ თავისუფალი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მქონე ჩვენს ქვეყანაში სასამართლო სხდომათა დარბაზში შეტანილი აპარატურა ტელეკომპანიების ფაქტობრივმა მფლობელებმა საკუთარ ან თუნდაც მოსახლეობის ცალკეული მცირე ჯგუფების (პარტიების, პოლიტიკური გაერთიანებების, „ოლიგარქების“ ან ე. წ. ქურდული სამყაროს) ინტერესებისათვის გამოიყენონ და, „ხალხის“ სახელს ამოფარებულებმა, საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებით, სასამართლო ხელისუფლებაზე, ფაქტობრივად, „ზედამხედველობისა“ და ზეწოლა-ზემოქმედების მძლავრ ბერკეტად აქციონ. მით უმეტეს, რომ უკვე გვხდება ფაქტები, როდესაც „რეიტინგული“ ოპოზიციური ტელევიზიები არასასურველ მოსამართლეებს და პროკურორებს „მკვლელებად“, „დამნაშავეებად“ და „კოკუმპირებულებად“ მოიხსენიებენ... ამასთან, ჟურნალისტები მათი ქონების წარმომადლობითაც ინტერესდებიან, ხოლო „სამოქალო აქტივისტები“ საცხოვრებელი სახლების (ბინების) წინ მართავენ საპროტესტო აქციებს...

სწორედ ამიტომ, თუ სამოქალაქო, სამეწარმეო და ადმინისტრაციული საქმეების სასამართლოში განხილვისას სხდომათა დარბაზში ტელევიზიის დაშვება სადავოდ შეიძლება არ გაგვხვდეს (თუმცა, მიზანშეწონილად ვთვლი, მოდავე მხარეთა თანხმობა ამ შემთხვევაშიც ყოფილიყო გათვალისწინებული), რაც შეეხება სისხლის სამართალწარმოებას, უმჯობესი (სამართლიანიც და გონივრულიც) იქნებოდა, საერთოდ აკრძალულიყო ფოტო-ვიდეოგადაღება და ტელეტრანსლაცია სასამართლოს სხდომის დარბაზიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ფარული თუ ღია გადაღება წარმოებს სასამართლო ხელისუფლების ინტერესებში ან სხდომათა დარბაზში წესრიგის უზრუნველსაყოფად. ამასთან, გადაღება მხოლოდ საქმის განმხილველი მოსამართლის გადაწყვეტილებით, მისი მითითების შესაბამისად და სპეციალური წესების დაცვით უნდა წარმოებდეს (ფირები დაერთვება საქმეს და გამოქვეყნდება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით). ვიდეო და ტელეკამერები მოსამართლეს კი არ უნდა აკონტროლებდნენ, არამედ პირიქით, საჭიროების შემთხვევაში, თავად მოსამართლეს უნდა შეეძლოს მათი გამოყენება პროცესის კონტროლისათვის.

სისხლის სამართალწარმოებაში „საქვეყნოების“ უზრუნველსაყოფად აუცილებლობას არ წარმოადგენს უშუალოდ სხდომათა დარბაზიდან, როგორც თეატრალური წარმოდგენიდან (ან თუნდაც პარლამენტიდან), პირდაპირი ტელეტრანსლაციების მოწყობა. ღია სხდომაზე დასწრება და ინფორმაციის გავრცელება ყველას შეუძლია, ხოლო განაჩენი ასევე ღია სხდომაზე და საქვეყნოდ ცხადდება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საპროცესო კოდექსის თანახმად, სისხლის სამართლის საქმის მონაცემების გაუმჟღავნებლობის ვალდებულება არ შეიძლება

ბრალდებულებს დაეკისროთ. ამასთანავე, არც განსასჯელს, ანუ იგივე ბრალდებულს, რომელიც „იდევნება“ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, ფაქტობრივად, არავინ უშლის საკუთარი პოზიციის საზოგადოებისათვის გაცნობას და განცხადების გაკეთებას კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით (განსაკუთრებული შემთხვევების გარდა). ამასთან, თუ აღმკვეთ ღონისძიებად დაპატიმრებაა გამოყენებული ან, თუ განსასჯელი სასამართლოში საქმის განხილვის სტადიაზე საზოგადოებისაგან იზოლირებულია. მისაღებად მიმაჩნია, სათანადო შუამდგომლობის საფუძველზე მოსამართლეს უფლება ჰქონდეს, მისცეს განსასჯელს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით განცხადების გაკეთების შესაძლებლობა ან/და გარკვეული დროით დაუშვას მასთან ჟურნალისტები.

ფაქტია ისიც, გარდა იმისა, რომ ბრალდების საქმის განხილვაზე ტელეკამერების დაშვების გამო (1999 წელი), მასობრივი საინფორმაციო მედიასაშუალებები, თუნდაც უნებურად, თავად გვევლინებოდნენ ხელისუფლების მხრიდან ადამიანთა უფლებების (ღირსების, უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის) ხელყოფის ხელშემწყობებად, ამასთან, არცთუ იშვიათად, ლახავდნენ იმ ზღვარსაც, რომლითაც კანონი სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას ზეწოლისგან იცავს (არადა, საქართველოს კონსტიტუციასა და ორგანულ კანონში საერთო სასამართლოების შესახებ მოცემულია ნორმა, რომლის ძალითაც „მოსამართლეზე რაიმე ზემოქმედება ან მის საქმიანობაში ჩარევა გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით“).

ამდენად, ვინაიდან, სისხლის სამართლის პროცესი მეტად სპეციფიკურ სამართლებრივ ურთიერთობებს არეგულირებს და სახელმწიფოს მხრიდან სისხლის სამართლებრივ დევნაში ჩაბმულ ადამიანს ევროკონვენციით აღიარებული უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი იცავს, სრულად დაუშვებლად მიმაჩნია „საქვეყნოების“ ისეთი შეუზღუდაობა, როგორც ეს დღეს მოქმედ კოდექსშია მოცემული. იმ რეალობის გათვალისწინებით კი, რომ კანონის უზენაესობის პრინციპის დამკვიდრება და რეალურად დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და სამართლიანი სასამართლო ხელისუფლების ფორმირება, ასევე შეჯიბრებითობის პრინციპის დანერგვა და ადვოკატურის ბრალდების მხარესთან უფლებრივად გათანაბრება მომავლის საქმეა, გამართლებულად მივიჩნევ, ჯერჯერობით (მით უმეტეს, დღევანდელ ვითარებაში...) არ დაგვეშვა ფოტო (ვიდეო, ტელე) კამერები უშუალოდ სასამართლო სხდომათა დარბაზში, რისთვისაც კანონმდებლობის დაუყოვნებლივ შეცვლა იქნება საჭირო.

თუ სამოქალაქო (მათ შორის, სამეწარმეო) და ადმინისტრაციული საქმეების სასამართლოში განხილვისას სხდომათა დარბაზში ტელევიზიის დაშვება სადავოდ შეიძლება არ გამეხადა (თუმცა, მიზანშეწონილად ვთვლი, ასეთ შემთხვევაში, მოდავე მხარეთა თანხმობა ყოფილიყო აუცილებელი), რაც შეეხება სისხლის სამართალწარმოებას, ბრალდებულის (განსასჯელის) პიროვნებისა და მისი ინტერესების, ფაქტობრივად, სრულ იგნორირებას მიუღებლად მივიჩნევ. მით

უმეტეს, იმ ვითარებაში, როდესაც სამართალდამცავი ორგანოები თვითონაც არ აკმაყოფილენ თანამედროვე სტანდარტებს და არ სარგებლობენ საზოგადოების ნდობით. აქედან გამომდინარე, გამართლებული (გონივრული) იქნებოდა, სისხლის სამართლის საქმეებზე საერთოდ აკრძალულიყო ფოტო-ვიდეოგადაღება და ტელეტრანსლაცია სასამართლოს სხდომის დარბაზიდან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფარული თუ ღია გადაღება წარმოებს სასამართლო ხელისუფლების ინტერესებში ან სხდომათა დარბაზში წესრიგის უზრუნველსაყოფად. ამასთან, გადაღება მხოლოდ საქმის განხილველი მოსამართლის გადაწყვეტილებით, მისი მითითების შესაბამისად და სპეციალური წესების დაცვით უნდა ხორციელდებოდეს. ანუ, ვიდეო და ტელეკამერები მოსამართლეს კი არ უნდა აკონტროლებდნენ, არამედ პირიქით, საჭიროების შემთხვევაში, თავად მოსამართლეს უნდა შეეძლოს მათი გამოყენება პროცესის ფიქსირებისა და ვითარების გაკონტროლებისათვის (ფაქტობრივად, როგორც სპორტული პაექრობის არბიტრს, სადაო ვითარების ან ბუნდოვანი გამონათქვამის გადამოწმების საშუალებაც უნდა ჰქონდეს).

ყველა შემთხვევაში, იმ ვითარების გათვალისწინებით, რომ კანონის უზენაესობის პრინციპის დამკვიდრება და ჭეშმარიტად დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და სამართლიანი სასამართლო ხელისუფლების ფორმირება მომავლის საქმეა, ხოლო შეჯიბრებითობის პრინციპი და ბრალდების მხარესთან უფლებრივად გათანაბრებული ადვოკატურა მხოლოდ ახლა იდგამს ფეხს, გამართლებულად მივიჩნევ, რეფორმების მიმდინარე ეტაპებზე მაინც შეგვეკავებინა თავი ფოტო (ვიდეო, ტელე) კამერების დაშვებისაგან უშუალოდ სასამართლო სხდომათა დარბაზში (მით უმეტეს, რომ კრიტიკა „სტრატეგიული პარტნიორების“ და ევროპელი მეგობრებისგანაც ისმის) და სათანადო ცვლილებები შეგვეტანა ახალ საპროცესო კოდექსში.

ფაქტობრივად, შეიძლება ითქვას ჩვენთან სისხლის სამართალწარმოება შინაარსით მართლაც „საჯაროობის“ პრინციპზეა დაფუძნებული და არა „საქვეყნოობაზე“... ანუ სახელმწიფო („საჯარო სამსახურის“) ინტერესებს ენიჭება პრიორიტეტი და არა ადამიანის უფლებების დაცვას. შედეგად, სასამართლო სხდომების ფორმალურად აღიარებული „ღიაობა-საქვეყნოობის“ მიუხედავად, იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება (სამართალდამცავი ორგანოები) დაინტერესებული, სასამართლო სხდომათა დარბაზში „უსაფრთხოების ინტერესებში“, არა თუ ტელეკამერა, არამედ, ფაქტობრივად, ჟურნალისტიც ვერ ახერხებს შეღწევას (როგორც წესი, საქმის განხილვისთვის გამოყოფილ დარბაზში ადგილებს საჯარო მოსამსახურეები ავსებენ...). არადა მსგავსი, ფაქტობრივად, „დახურული სხდომების“ გამართვა განსაკუთრებით მიუღებელი სწორედ იმ ვითარებაშია, როდესაც დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე განხორციელებული სამართლებრივი რეფორმების ხარვეზების გამო, სასამართლო და პროკურატურა, ფაქტობრივად, ისევ ტანდემში მოქმედებენ და საჯარო ხელისუფლების ინტერესებს იცავენ.

სამაგიეროდ იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფოს („საჯარო“) ინტერესი არ იკვეთება, სასამართლოს სხდომის დარბაზის კარი ფოტო-ვიდეო-ტელეკამერების იმაზე ფართოდ იღება, ვიდრე ევროკავშირის მოწინავე ქვეყნებში, რითაც ადამიანის კონსტიტუციური უფლებების ხელყოფის საფრთხე იზრდება, ხოლო, რიგ შემთხვევებში, საქმის განხილვის პროცესი აშკარად პოლიტიზებული ხდება და არაფერი აქვს საერთო სამართლიანი (დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი) მართლმსაჯულების განხორციელებასთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მივიჩნევ, ზემოთ განხილული სამართლის ნორმების ბაზაზე, სისხლის სამართლის პროცესში „საქვეყნობის პრინციპის“ ნორმატიული შინაარსიც დაგვეკონკრეტებინა და პრაქტიკაშიც განსხვავებული ფორმატით დაგვეწერა, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების სისხლის სამართალწარმოების პრაქტიკა და ფოტო-კინო-ვიდეო ტექნიკა, ჯერჯერობით არ დაგვეშვა სასამართლო სხდომათა დარბაზებში.

შესაბამისად, მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქართველოს სასამართლო საკმარისად დააკმაყოფილებდა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ე. წ. ევროსტანდარტებს, შეიძლება გვეფიქრა ტელევიზიის სასამართლო სხდომათა დარბაზში დაშვებაზე, ისიც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. კერძოდ, თუ მაგ., საქმე შეეხებოდა საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ კანონში ჩამოთვლილი უმაღლესი თანამდებობის პირების მიერ ჩადენილ ისეთ უმძიმეს დანაშაულებს, როგორებიცაა მაგ., „რევოლუცია“, ორგანიზებული დამნაშავეობა, უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია, ტერორიზმი, ნარკობიზნესი და სხვა...

სადღეისოდ შექმნილ ვითარებაზე კი, შეიძლება ითქვას, რომ, როდესაც, ფაქტობრივად, მხოლოდ უცხოელი მეგობრების თვალში ადგილობრივი სისხლის სამართალწარმოებისთვის დემოკრატიული „იმიჯის“ შექმნის მიზნით, ფოტო-კინო-ვიდეოტექნიკისათვის (ანუ, ფაქტობრივად, უცხოელი ექსპერტების შეფასებითაც ჩვენი „ნახევრად თავისუფალი“ თუ „ნაწილობრივ დამოუკიდებელი“ მედიასაშუალებებისთვის...) სასამართლო სხდომის დარბაზის კარის ფართოდ გაღება მოვინდომეთ, ის განსასჯელს (სავარაუდო დამნაშავეს, რომელსაც სახელმწიფო განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე ერთმნიშვნელოვნად უდანაშაულოდ თვლის), უნებლიედ, ისე ღონივრად „მივარტყით სახეში“, ტელეკამერების წინ ასეთ „ღიაობა-საქვეყნობა-საჯაროობას“, შეიძლება უსინათლო საკანში („კამერაში) ხანგრძლივი ვადით გამოკეტვა ერჩივნა... მეორეს მხრივ კი, ზოგიერთ „პრივილეგირებულ“ ბრალდებულს საშუალება მივეცით სასამართლო „პოლიტიკურ ტრიბუნად“ გამოეყენებინა და არსებული ხელსუფლების კრიტიკასთან ერთად, „ქვეყნის აღმშენებლობის სამომავლო გეგმებიც“ გაეცნო საზოგადოებისთვის... დარწმუნებული ვარ, ქურდობის ან თაღლითობის ბრალდებით განსასჯელის სკამზე აღმოჩენილი „ამხანაგ ბენდერისთვის“ სხდომათა

დარბაზიდან „ქართველი ხალხისადმი“ ტელევიზიით პირდაპირი ეთერით მიმართვის საშუალება რომ მიგვეცა, დიდი შანსი ექნებოდა, არათუ დეპუტატად, პრეზიდენტადაც აგვერჩია... აქედან გამომდინარე, მე-11 მოწვევის პარლამენტს ვურჩევდი, „საერთო სასამართლოების შესახებ“ შესახებ ორგანული კანონის მე-13 პრიმა მუხლის მეორე ნაწილი იმ სახით შეეცვალა, რომ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაზე ფოტო-კინო-ვიდეოგადაღება ამ ეპატზე მაინც არ ყოფილყო დაშვებული, რისთვისაც ის შემდეგი სახით შეიძლება ჩამოყალიბებულიყო:

I ვარიანტი (არსებულ რედაქციაში სიტყვა „გარდას“ შემდეგ დაემატება სიტყვები „სისხლის სამართლის საქმისა ან“)

2. საზოგადოებრივი მაუწყებელი უფლებამოსილია შეუზღუდავად განახორციელოს სასამართლო პროცესის ფოტოგადაღება, კინო, ვიდეო, აუდიოჩაწერა, გარდა სისხლის სამართლის საქმეებისა ან იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლოს მიერ გამოტანილია განჩინება სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის თაობაზე. საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია უზრუნველყოს ჩანაწერის გადაცემა მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებისათვის მათი მოთხოვნისთანავე.

II ვარიანტი (არსებულ რედაქციაში სიტყვა „გარდას“ შემდეგ დაემატება სიტყვები „სისხლის სამართლის საქმეებისა, აგრეთვე იმ შემთხვევებისა, როდესაც მოსარჩელე არ არის თანახმა ან“)

2. საზოგადოებრივი მაუწყებელი უფლებამოსილია შეუზღუდავად განახორციელოს სასამართლო პროცესის ფოტოგადაღება, კინო, ვიდეო, აუდიოჩაწერა, გარდა სისხლის სამართლის საქმეებისა, აგრეთვე იმ შემთხვევებისა, როდესაც მოსარჩელე არ არის ამაზე თანახმა ან სასამართლოს მიერ გამოტანილია განჩინება სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის თაობაზე. საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია უზრუნველყოს ჩანაწერის გადაცემა მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებისათვის მათი მოთხოვნისთანავე.

ცხადია, წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადებიდან რომელიმე ვარიანტის მიღების შემთხვევაში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-13 პრიმა მუხლიდან ამოსაღები გახდება მე-6 და მე-7 ნაწილები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება ჩემი თანდასწრებით და მისი დასაბუთებულად მიჩნევის შემთხვევაში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-13 პრიმა მუხლის მეორე ნაწილში შეიტანოთ შესაბამისი ცვლილება.

ამასთან, ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ერთობ სადავო და სრულიად მიუღებელ ნორმებთან ერთად, მრავალი რედაქციულადაც გაუმართავი ფორმულირებაც არის „გაპარული“, რის გამოც მასში გაუთავებლად შედის ცვლილება-დამატებები და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებიც კი არაგონივრული პროცედურის აირჩევიან, ხოლო პროკურორებს, რიგ შემთხვევებში, მოსამართლეების უფლებამოსილება აქვთ მინიჭებული (რაც ლოგიკურია, ვინაიდან აღნიშნული კოდექსის პროექტის მომზადებაში არც ქართველ მეცნიერებს მიუღიათ მონაწილეობა და არც ადვოკატებს...), გონივრულად მიმაჩნია, პარლამენტს შეექმნა სახელმწიფო კომისია, რომელიც უცხოელ ექსპერტებთან თანამშრომლობით, დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სრულყოფისთვისაც პერიოდულად მოამზადებდა საკანონმდებლო წინადადებებს და ევროპული სამართლებრივი სივრცისთვისაც მისაღები კოდექსის ახალ რედაქციაზეც (ცხადია, მის კომენტარზეც) იმუშავებდა.

განცხადებას თან ერთვის:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2012 წლის 19 ივნისის N32 ბრძანება, რომლითაც „სასამართლოს შენობაში (სასამართლოს ეზო, სასამართლოს შენობა) აიკრძალა ფოტო, კინო, ვიდეოაპარატურის, მობილური ტელეფონების და ჩაწერის ფუნქციის მქონე სხვა ტექნიკური საშუალებების შეტანა“;
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ეზოში განთავსებული ფოტო და ვიდეო გადაღების ამკრძალავი სპეციალური ნიშნები.

გისურვებთ წარმატებას!

პატივისცემით,



ავთანდილ კახიაიძე  
06 მარტი, 2025 წელი

თბილისის საქალაქო სასამართლო

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2012 წლის 19 ივნისის №32-ს წმ1 ბრძანებით სასამართლოს შენობაში (სასამართლოს ეზო, სასამართლოს ბენობა) აიკრძალა ფოტო-, ვიდეო-, ვიდეოაპარატურის, მობილური ტელეფონისა და ჩაწერის ფუნქციის მქონე სხვა ტექნიკური საშუალებების შეტანა.

TBILISI CITY COURT



თქვენი ბავშვები  
აკრძალულია

პროცენტი  
ფოტო